პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 51 (7362)

15 მარტი 1983 წ. სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ახლოვდება სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის ფინალური სტარტები

მიზანი: ოსტატობის ზრდა, სპორტის პროგრესი

ოთხ თვეზე ოდნავ მეტი დარჩა წლის უდიდესი შეჯიბრების — სსრ კავშირის ხალხთა VIII საზაფხულო სპარტაკიადის დაწყებამდე. საბჭოთა სპორტის მომავალი ფორუმის თავისებურებათა შესახებ გვესაუბრება შეჯიბრების მთავარი მსაჯი, სსრ კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ანატოლი კოლესოვი.

— სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები მის ოფიციალურ გახსნამდე კარგა ხნით ადრე დაიწყო, — თქვა მან. — აგერ უკვე წელიწადზე მეტია სპარტაკიადა ჩვენს ქვეყანაში დააბიჯებს. საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში მიმდინარეობს მასობრივი სტარტები, რომლებშიც მონაწილეობენ საწარმო-დაწესებულებათა ფიზკულტურის კოლექტივები, სოფლის მშრომელები, სტუდენტები და მოსწავლეები. უკანასკნელი მონაცემების თანახმად ამ შეჯიბრებაში უკვე გამოვიდა ას მილიონამდე ფიზკულტურელი.

— ხომ არ არის რაიმე ცვლილებები სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებების მოწყობის სისტემაში?

— დიახ, არის და საკმაოდ არსებითიც. წინათ სპარტაკიადების საერთო ჩათვლაში შედიოდა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადებზე და ქვეყნის ახალგაზრდულ ასპარეზობებზე ნაჩვენები შედეგები. ამჯერად გუნდებს ჩაეთვლებათ მხოლოდ ახალგაზრდულ ასპარეზობაზე მოპოვებული ქულების ნახევარი და მოსწავლეთა სპარტაკიადაში დაგროვილი ქულების მესამედი.

ახლებურად გამოიყურება ფინალური შეჯიბრებების ფორმულაც. 17 ნაკრები გუნდი—დასკვნითი შეჯიბრებების მონაწილენი სამ ჯგუფად არიან დაყოფილნი. პირველში შედიან რუსეთის სფს რესპუბლიკის, უკრაინის, მოსკოვის, ბელორუსიის, ლენინგრადის კოლექტივები; მეორეში — ყაზახეთი, საქართველო, ლიტვა, ლატვია, უზბეკეთი; მესამეში — სომხეთი, აზერბაიჯანი, მოლდავეთი, ესტონეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და თურქმენეთი. პირველ ჯგუფში გუნდები იასპარეზებენ სპარტაკიადის პროგრამის 32-ვე სახეობაში. აქ განისაზღვრება სამი უძლიერესი ნაკრები. მეორე ჯგუფის მონაწილეებისათვის სავალდებულოა სპორტის 18 სახეობა. ისინი გამოავლენენ ორ საუკეთესო გუნდს. მესამე ჯგუფში ასპარეზობა მოეწყობა 12 სახეობაში. ამ ჯგუფში ერთი გამარჯვებული გამოვლინდება. გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებულებს ყოველ ქვეჯგუფში გადაეცემათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი პრიზები. დაწესებულია ჯილდოები ქალაქებისათვის, რომელთა წარმომადგენლებიც ყველაზე წარმატებით გამოვლენ სპარტაკიადაზე, აგრეთვე სპეციალური პრიზები საუკეთესო სასწავლებლებისათვის, სოფლის უძლიერესი სპორტსმენებისათვის და სხვ.

— შემოღებულია თუ არა რაიმე შეზღუდვები სპორტსმენებისათვის?

— ფინალურ სტარტებზე დაიშვებიან ძირითადად ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენები. მომავალი სპარტაკიადის მთავარი პირობაა მაღალი შედეგი. ასაკობრივი შეზღუდვები არ შეეხება მხოლოდ ქვეყნის ნაკრები გუნდების წევრებს. დარწმუნებული ვართ, რომ ეს სიახლენი ხელს შეუწყობენ ჩვენი სპორტსმენების ოსტატობის ზრდას, მთელი საბჭოთა სპორტის პროგრესს.

სულ გათამაშდება 246 მედლების კომპლექტი. წინა სპარტაკიადაზე სპორტსმენებს 225 კომპლექტი გადაეცათ. სპორტის ოლიმპიურ სახეობათა გარდა პროგრამაში შეტანილია აგრეთვე ჭადრაკი, სამბო, ჩოგბურთი, პირველად გათამაშდება მედლები მრავალდღიან ველორბოლაში, ქალთა ბალახის ჰოკეიში, მაგიდის ჩოგბურთსა და სინქრონულ ცურვაში. უკანასკნელი ორი სახეობა ოლიმპიური ასპარეზობის პროგრამაშიც არის შეტანილი. სხვათა შორის, სპორტის 25 სახეობაში სპარტაკიადის დროს ერთდროულად მოეწყობა ქვეყნის ჩემპიონატებიც.

— სად ჩატარდება ფინალური ტურნირები?

— ჩვენს სპარტაკიადას ამჯერადაც ფართო გეოგრაფია აქვს. ძირითადი მოვლენები ჩაივლის მოსკოვში. ფინალური ტურნირების მონაწილეებს დაეთმობა საუკეთესო ოლიმპიური ბაზები. აფროსნები, ისევე როგორც 1980 წლის ოლიმპიადაზე, რეგატას მოაწყობენ ტალინის „კირიტას“ აფროსნობის ცენტრში. საგზატკეცილო ველორბოლის მონაწილენი ერთმანეთს შეეცილებიან პირველობას ალმაათაში. უკრაინის გზებზე დნეპროპეტროვსკიდან სიმფეროპოლამდე ჩაიქროლებენ მრავალდღიანი ველორბოლის მონაწილენი, მაგიდის ჩოგბურთის ოსტატები შეიკრიბებიან ლვოვში. ხელბურთელთა წინასწარი შეჯიბრებები მოეწყობა ვილნიუსსა და კაუნასში, ხოლო ფეხბურთელებისა — ივანოვოში, რიაზანსა და ტულაში.

— როდის გაიმართება სპარტაკიადის ფინალურ ასპარეზობათა გახსნა?

— ოფიციალურად სსრ კავშირის ხალხთა VIII საზაფხულო სპარტაკიადის გახსნა 23 ივლისს მოეწყობა მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის დიდ სპორტულ არენაზე. ძირითადი მოვლენები კი 20 ივლისიდან 5 აგვისტომდე წარიმართება. ამ დღეებში მოეწყობა შეჯიბრებები სპორტის 25 სახეობაში. მაგრამ ზოგიერთი ასპარეზობა ჯერ კიდევ ოფიციალურ გახსნამდე დამთავრდება. სპარტაკიადის ფინალური პროგრამა 11 მაისს გაიხსნება თურქმენეთისა და ყირგიზეთის რესპუბლიკების კალათბურთელ ქალთა გუნდების შეხვედრით. ვადამდე „გაარკვევენ ურთიერთობას“ მარათონელი მორბენლები, მძლეოსნები, ნიჩბოსნები, ცხენოსნები, წყალბურთელები და ფრენბურთელები. სპარტაკიადის უკანასკნელ მედალს 5 აგვისტოს გაითამაშებენ კოშკიდან წყალმხტომელები.

— რით აიხსნება სპარტაკიადის შეჯიბრებათა ესოდენ ხანგრძლივი კალენდარი?

— ზაფხულის უკანასკნელი თვე — აგვისტო დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო შეჯიბრებებით არის აღსავსე. კანადაში მოეწყობა მსოფლიო სტუდენტთა ასპარეზობა, ჰელსინკში გაიმართება პირველი მსოფლიო ჩემპიონატი მძლეოსნობაში. ჩვენი სპორტსმენები უნდა გამოვიდნენ მსოფლიოსა და ევროპის სხვადასხვა ჩემპიონატებში.

— სსრ კავშირის ხალხთა VIII საზაფხულო სპარტაკიადის ფინალურ ტურნირებში საზღვარგარეთელი სპორტსმენებიც გამოვლენ არა?

— სპარტაკიადაზე მოწვეული არიან ხუთივე კონტინენტის 60 ქვეყნის წარმომადგენლები. — დაახლოებით 1000 სპორტსმენი. ყველაზე მრავალრიცხოვან დელეგაციას მოველით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან — დაახლოებით ას კაცს. ისინი სპორტის 11 სახეობაში გამოვლენ. სპარტაკიადის სტუმართა შორის არიან უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, კუბის, საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იაპონიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების უძლიერესი ათლეტები.

ჩვენი სპარტაკიადის მნიშვნელობას ისიც აძლიერებს, რომ 1984 წლის ოლიმპიადის ორგანიზატორებმა უარი თქვეს თავისთან გაემართათ ოლიმპიადის წინა სპორტული კვირეული. მსოფლიოს წამყვან სპორტსმენებს მოსკოვში შესაძლებლობა მიეცემათ შეამოწმონ თავიანთი მზადყოფნა და აგრეთვე გაეცნონ მომავალ მეტოქეებს.

შ. შალოლაშვილი,
(საქინფორმის სპეც. კორ.).
მოსკოვი.

● სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში

ვინ დატოვებს უმაღლეს ლიგას?

თბილისის სპორტის სასახლე. 13 მარტი.

სპი — „ნევა“ (ლენინგრადი)— 35:33 (16:16).

სპი: ბარამიძე, კომახიძე, ბულია (3), ნავროზაშვილი (1), ბერიაშვილი (3), ჩიბირაშვილი, დოლიძე (5), ტაბიძე (8), დემეტრაშვილი (3), ანპილოგოვი (10), კახიანი (2).

„ნევა“: ფეოდოროვი, სემიონოვი, რიბაკოვი (15), ბუტაში (1), შიცკო (1), კლობკოვი (2), კოპილი, ბაბენკო (1), იგნატიევი (2), ზახაროვი (4), ივანოვი (5), ანდრიანოვი (2), მაისტრენკო, ეფიმოვი.

მსაჯები: ვ. შევინსკასი (კლაიპედა), ა. რაიუსი (კაუნასი).

ამ მატჩის წინ საშუალება გვქონდა გვესაუბრა ლენინგრადელთა მწვრთნელებთან. დღეს ალბათ, ვერ მოვიგებთ, მაგრამ ბოლო ტურში ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ქულათა მაქსიმუმი ავიღოთ და სასურველი ადგილი დავიკავოთო, — გვითხრეს მათ. სხვათა შორის, ოპტიმისტურად არიან განწყობილი კიევის ასკ-სა და რიგის „ცელტნიეკსის“ ხელბურთელებიც. სატურნირო ცხრილიდან ჩანს, რომ სწორედ ეს სამი გუნდია თბილისელთა უშუალო კონკურენტი. ცხადია, ფარ-ხმალი არც ჩვენს ხელბურთელებს დაუყრიათ, ასე რომ, უკანასკნელ ტურში, რომელიც მაისში ლენინგრადში გაიმართება, საინტერესო ბრძოლებია მოსალოდნელი.

მაინც ვინ დატოვებს უმაღლეს ლიგას? რა თქმა უნდა, ახლა ძნელია გადაჭრით რაიმეს თქმა. ჩვენს მკითხველებს უკვე გავაცანით ჩემპიონატის დებულება, სადაც გარკვევით წერია, რომ ბოლო ადგილზე გასული გუნდი პირდაპირ ეთიშება უმაღლეს ლიგას, X-XI ადგილების მფლობელები კი პირველი ლიგის 2 გუნდთან ერთად იბრძოლებენ უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად. ხელბურთის ქართველი გულშემატკივრები იმედოვნებენ, რომ პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი თავს გაართმევს ძნელ ამოცანას. ამის საფუძველს გვაძლევს თბილისელ ხელბურთელთა აქტიური, მონდომებული თამაში. მართალია, ჩვენმა გუნდმა ჩელიაბინსკის „პოლიოტთან“ ვერაფერი გააწყო, მაგრამ ტურის ბოლოსწინა მატჩი ლენინგრადელებთან კვლავ ალმაცერობით ჩაატარა.

მასპინძლები პირველ წუთებიდანვე დაწინაურდნენ და დიდხანს 4-5 ქულით იყვნენ წინ, თუმცა ტაიმის მიწურულს მოადუნეს ყურადღება და მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცეს — 16:16. შესვენების შემდეგ სპი კვლავ მთელი ძალით ათამაშდა. საიმედოდ იცავდა კარს ბარამიძე, შედეგიანად მოქმედებდნენ ანპილოგოვი და დოლიძე, ტრავმის მიუხედავად, თავგამოდებით იბრძოდა ტაბიძე, კარგად ითამაშა ახალგაზრდა ბულიამაც. საფინალო სასტვენამდე 4 წუთით ადრე მასპინძლები დიდი უპირატესობით იგებდნენ (35:29) და მატჩის ბედიც, ფაქტიურად, გადაწყვეტილი იყო. მართალია, ამ მონაკვეთში ლენინგრადელებმა ზედიზედ 4 გოლი გაიტანეს, მაგრამ დროც ამოიწურა და სპი-მ 2 ქულა ჩაიწერა აქტივში.

* * *

გუშინწინ გამართული სხვა მატჩების შედეგები ასეთია: „პოლიოტი“ (ჩელიაბინსკი) — „ცელტნიეკსი“ (რიგა) — 28:22, ასკ (კიევი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (კრასნოდარი) — 23:23.

* * *

გუშინ გაიმართა ორი შეხვედრა (იმის გამო, რომ რიგის „ცელტნიეკსი“ რუმინეთის საერთაშორისო ტურნირზე გაემგზავრა, „ცელტნიეკს“ — „ნევას“ მატჩი არ შედგა. გამოტოვებულ შეხვედრას ეს გუნდები ლენინგრადში, დასკვნითი ტურის წინ ჩაატარებენ). კიევის ასკ-ასა და ჩელიაბინსკის „პოლიოტის“ მატჩი ფრედ დამთავრდა — 23:23 (12:11). შემდეგ მოედანზე გამოვიდნენ საქართველოს პოლიტექნიკური და კრასნოდარის ფიზკულტურის ინსტიტუტების გუნდები. ქართველმა ხელბურთელებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და დიდხანს ლიდერობდნენ. პირველი ტაიმის ანგარიშია 12:9 მასპინძელთა სასარგებლოდ. მართალია, შესვენების შემდეგ კრასნოდარელებმა შეძლეს მდგომარეობის გათანაბრება, მაგრამ ბოლოს კვლავ სპი დაწინაურდა და გაიმარჯვა — 23:20.

დასკვნითი ტურის წინ VII-XII ადგილებისთვის მებრძოლ კოლექტივებს შორის ასეთი მდგომარეობაა: „პოლიოტი“ — 23 ქულა, კრასნოდარის ფიზკულტურის ინსტიტუტი — 22, ასკ — 18, სპი — 17, „ცელტნიეკსი“ — 16, „ნევა“ — 16.

ბ. ელბაქაური.

* * *

სურათზე: ლენინგრადელთა კარში ბურთი გააქვს ზ. დოლიძეს (ნახტომში). ამ მატჩში დოლიძემ საუკეთესო მოთამაშის პრიზი დაიმსახურა.

ე. ხუცურაულის ფოტო.

● სამბო

ჯველაური და ლოლაშვილი — გამარჯვებულთა შორის

მოსკოვში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი სამბოში, რომელიც სპორტის ამ სახეობის ერთ-ერთი ფუძემდებლის ა. ხარლამპიევის ხსოვნას მიეძღვნა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, მონღოლეთის, იტალიის, საფრანგეთისა და სსრ კავშირის მოჭიდავეები.

ათივე წონით კატეგორიაში გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა. სასიხარულოა, რომ უძლიერესთა შორის მოხვდნენ ქართველი ფალავნები — თამაზ ჯველაური და ჰამლეტ ლოლაშვილი, რომლებმაც ოქროს მედლები მოიპოვეს თავიანთ წონით კატეგორიებში.

შენი ჯანმრთელობა შენს ხელთაა!

12-დან 300-მდე

25 წლის წინათ, საპროექტო ინსტიტუტების ზამთრის სპარტაკიადაზე 12 მოთხილამურე გამოვიდა, ახლანდელ XXV ასპარეზობაში კი 300-მდე არქიტექტორ-დამპროექტებელი მონაწილეობდა.

სპარტაკიადის ორგანიზატორებმა, რომელთა შორის განსაკუთრებული ქებით უნდა მოვიხსენიოთ „საქსახმშენსახპროექტის" ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტი ა. თუნთია, დიდი სიყვარული და მონდომება გამოიჩინეს ამ შეჯიბრებისადმი. ლამაზმა, ორიგინალურმა პრიზებმა, საგანგებოდ გამოშვებულმა მედლებმა, სამკერდე ნიშნებმა, ვიმპელებმა, სხვადასხვა ემბლემებმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

ასპარეზობა, რომლის პროგრამაში იყო სათხილამურო რბოლა და სამთოსათხილამურო სპორტი, ხუთ დღეს მიმდინარეობდა. შეჯიბრების სტარტზე 15 ინსტიტუტის ნაკრები გუნდი გამოვიდა.

ასპარეზობა გახსნეს მრბოლელებმა, რომლებიც ერთმანეთს იაგორას ველზე ეჯიბრებოდნენ. 5-კილომეტრიან დისტანციაზე აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა „სოფმეურნპროექტის" არქიტექტორმა, 28 წლის ლ. ყუფიანმა (იგი ოსტატობის კანდიდატია ცურვაში). ვაჟები 10 კილომეტრზე ასპარეზობდნენ. აქ საუკეთესო იყო 25 წლის ვ. გედევანიშვილი („საქსახწყალპროექტი"). ამავე ინსტიტუტის გუნდმა (ა. გურაშვილი, გ. როჩიკაშვილი, ვ. გედევანიშვილი, ნ. თევზაძე) გაიმარჯვა შერეულ ამანათრბენში. ფინიშზე მეორე იყო „საქსახპროექტის", ხოლო მესამე — „საქსახკვებპროექტის" გუნდი.

სამთო მოთხილამურეები კოხტა 1-ზე ასპარეზობდნენ. ქალთა შორის, შეიძლება ითქვას კონკურენციის გარეშე აღმოჩნდა ნ. ჯობაძე („თბილზნიეპი"), რომელმაც სამივე სახეობაში გაიმარჯვა. ორი მეორე ადგილი (სპეციალურ სლალომსა და სწრაფდაშვებაში) მოიპოვა „საქსახწყალპროექტის" წარმომადგენელმა ლ. ქავთარიამ. გიგანტურ სლალომში მეორე შედეგი ჰქონდა ხ. ოჩიაურს („საქსოფსახმშენპროექტი"), რომელიც სწრაფდაშვებაში მესამე ადგილზე გავიდა.

სპეციალური სლალომისა და სწრაფდაშვების ტრასებზე უძლიერესი იყო კ. იაშვილი („საქქალაქმშენსახპროექტი"). მისი უმცროსი ძმა ზაზა მეორე ადგილზე გავიდა სწრაფდაშვებაში, ხოლო სპეციალურ და გიგანტურ სლალომში—მესამეზე. ამ სახეობაში ყველას აჯობა სპორტის ოსტატმა კ. ურუშაძემ („თბილზნიეპი"). იგი მეორე იყო სპეციალურ სლალომში. ამავე გუნდის წარმომადგენელმა კ. ჩხეიძემ მესამე შედეგი აჩვენა სწრაფდაშვებაში.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა „საქქალაქმშენპროექტის" გუნდმა, რომელსაც სპარტაკიადის გარდამავალი თასი გადაეცა. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ „საქკვებმრეწვსახპროექტის" და „საქწყალპროექტის" წარმომადგენლები.

ლ. ხეცურიანი,
„ლელოს" კორ.

ბაკურიანი.

* * *





სურათებზე: ვაჟები შეჯიბრების ტრასაზე; ქალთა შორის სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი ნ. ჯობაძე; „ჯილდოების უველა კომპლექტი"; ძმები კ. და ზ. იაშვილები.

ა. ვაშაკიძის ფოტოები.

თოვლიან ბილიკებზე—მოსწავლეები

დუშეთის ბავშვთა სპორტულმა სკოლამ ამას წინათ ქვეშეთის მიდამოებში გამართა რაიონის მოსწავლეთა პირველობა თხილამურებით რბენაში. შეჯიბრების მონაწილენი აგრეთვე აბარებდნენ მშთ ნორმატივებს ლერძზე მიზიდვაში, ბაგირზე ცოცვასა და ბურთის ტყორცნაში.

დიდი ინტერესი გამოიწვია გოგონებისა და ბიჭების შეჯიბრებამ ორ და სამ კილომეტრზე თხილამურებით რბენაში. თავი ისახელეს მლეთელმა ნონა ბურდულმა, ქვეშეთის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ლია სისაურმა, ბონდო და მაია ბუჩუკურებმა და სხვებმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა ქვეშეთის საშუალო სკოლის გუნდმა, მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს მლეთისა და კაიშაურების რვაწლიანი სკოლების გუნდებმა.

ზ. სიანაიძე.

• • •

სურათზე: სათხილამურო რბოლის ტრასაზე.

ვ. ქისტაურის ფოტო.

მძიმარი ნადავლით

ნოვოპოლოცკში ჩატარდა ახალგაზრდა (1966-67 წ. წ.) წყალბურთელთა საკავშირო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ბელორუსიის, ხარკოვის, მოგილიოვის, გომელის, საქართველოსა და მასპინძელთა ნაკრები გუნდები.

ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა (ლ. ყუფარაძე, გ. გობეჯიშვილი, ვ. ქართველიშვილი, თ. კობახიძე, გ. მაისურაძე, დ. რამიშვილი, ზ. მაჭავარიანი, მ. გიორგაძე, თ. ღვალაძე, კ. იბოლაძე, გ. გაბედავა, ს. მიქაელიანი, ს. ბითაძე), რომელსაც ავარჯიშებენ გუნდის უფროსი მწვრთნელი ს. მაისურაძე და ბ. მეგედი, ჩინებულად იასპარეზა და პირველობა მოიპოვა. ჩვენი გუნდის მოთამაშეებმა რამდენიმე პრიზიც დაიმსახურეს.

საუკეთესო მეკარისათვის დაწესებული ჯილდო გადაეცათ ქუთაისელ ლ. ყუფარაძეს (განათლების განყოფილება), საუკეთესო თავდამსხმელისა—სოხუმელ ს. მიქაელიანს („დინამო"), ხოლო საუკეთესო მოთამაშის — თბილისელ მ. გიორგაძეს (განათლების სამმართველო).

საინტერესოა, რომ საქართველოს ნაკრები ძირითადად დაკომპლექტებული იყო თბილისის წარმომადგენლებით, მეტწილად განათლების სამმართველოს და „განთიადის" ჭაბუკი სპორტსმენებით.

ა. რაჭველიშვილი.

სპეციალური გამოცემა

დასრულდა საქართველოს სპორტკომიტეტისა და რესპუბლიკის საჭადრაკო ფედერაციის სპეციალური საჭადრაკო ბიულეტენის „შახმატნი ტბილისი" (რედაქტორი თ. გიორგაძე) გამოცემა.

ბიულეტენის 20 ნომერი მიეძღვნა 1982 წლის სამ დიდ შეჯიბრებას — ქალთა მსოფლიო პირველობის თბილისის საზონათშორისო ტურნირს, სსრ კავშირის ქალთა 42-ე ჩემპიონატსა და სსრ კავშირის ვაჟთა პირველი ლიგის 50-ე ჩემპიონატს, რომლებშიც ქართველი მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ. გამოცემაში დაისტამბა ამ ტურნირებში გათამაშებული ყველა (411) პარტია და შედეგების ცხრილები, აგრეთვე 42-ე ჩემპიონატის მთავარი მსაჯის, დიდოსტატისა და არბიტრის კ. ზვორიკინას (მინსკი) მიმოხილვა, ოსტატ ზ. აზმაიფარაშვილის თეორიული სტატია პირველ ლიგაში გათამაშებული რამდენიმე დებიუტის შესახებ.

ბიულეტენის ოთხ ნომერში დაიბეჭდა ლუცერნის საჭადრაკო ოლიმპიადის 42 რჩეული პარტია, მათ შორის ოლიმპიადის ჩემპიონის ქართველი დიდოსტატი ქალების შეხვედრები. გამოქვეყნდა აგრეთვე საჭადრაკო კომპოზიციაში (ეტიუდებში) საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომპარტიის 60 წლის თავისადმი მიძღვნილი გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის საკავშირო კონკურსის შედეგების წინასწარი მონაცემები და გაზეთ „სოფლის ცხოვრების" რედაქციის მიერ გამოცხადებული სოფლის კომპოზიტორთა ტრადიციული, V საკავშირო კონკურსის საბოლოო შედეგები.

ბიულეტენში დაბეჭდილია საინტერესო წერილები; ნ. იმესაშვილის „ანატოლი კარპოვი — საქართველოს სტუმარი", ნ. სახაროვის „საჭადრაკო წიგნი საქართველოში", მ. შიშოვის „მოგონებები", ე. გუფელდის „საჭადრაკო სიზმრები"; წერილების სერია ქალთა საზონათშორისო ტურნირების ისტორიიდან, ინტერვიუები მსოფლიო ჩემპიონებთან ა. კარპოვთან, მ. ჩიბურდანიძესთან, მსოფლიო ექსჩემპიონთან მ. ბოტვინიკთან, ნ. იოსელიანთან, მ. მურეშანთან, ლიუ შილანთან და სხვებთან, ნ. გაფრინდაშვილის, ნ. ალექსანდრიას, ე. უბილავასა და სხვა ცნობილი მოჭადრაკეების მიერ გაანალიზებული პარტიები, აგრეთვე ინფორმაციები საზღვარგარეთის საჭადრაკო ცხოვრებაზე.

ქ. გომელაური.

ქალთა დღეს მიეძღვნა

დედაქალაქის მძლეოსნობის მანეჟში ჩატარდა ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული რესპუბლიკური პირადგუნდური შეჯიბრება მშვილდოსნობაში.

სროლის ხაზზე გამოვიდნენ თბილისის (პირველი და მეორე გუნდი), ბათუმის, სოხუმისა და ქუთაისის წარმომადგენლები, სულ 27 მსროლელი. მათ იასპარეზეს ოლიმპიურ მ-2 ვარჯიშში. თითოეულმა მონაწილემ ოთხი დღის განმავლობაში 288 ისარი გაგზავნა სამიზნეში. ასეთი დატვირთვა სპორტსმენისგან ჩინებულ ფიზიკურ, ტექნიკურ და ფსიქოლოგიურ მომზადებას მოითხოვს.

საინტერესოდ წარიმართა ოთხდღიანი ბრძოლა პირადი პირველობისათვის. ვარჯიშის პირველი ნახევრის დამთავრების შემდეგ ლიდერთა ჯგუფს სათავეში ჩაუდგა ბათუმელი სპორტის ოსტატი ლ. სალია. მისი შედეგი იყო 1.180 ქულა, რითაც გაიმეორა ოსტატობა. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიის ფაკულტეტის პიველი კურსის სტუდენტი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი ლ. მაჩაბლიშვილი (თბილისის პირველი გუნდი) ლიდერს 36 ქულით ჩამორჩა. პრიზის მოპოვებისთვის საბოლოო დავაში შეეძლო ჩაბმულიყო სპორტის ოსტატი ნაზი დიასამიძე (ბათუმი), რომელიც მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩებოდა თბილისელ სპორტსმენს, მაგრამ 36 ქულის უპირატესობა ისეთ რთულ ვარჯიშში, როგორიც „ფიტას ორმაგი წრეა", არაფერს ნიშნავს. მოპოვებულს განმტკიცება და შენარჩუნება სჭირდება. ამ მარტივ ჭეშმარიტებაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით. მესამე დღის შედეგების შეჯამებისას (სროლა 70 და 60 მეტრზე) აღმოჩნდა, რომ ლიდერები შეიცვალნენ. ახლა ლ. მაჩაბლიშვილი 35 ქულის უპირატესობით დაწინაურდა ლ. სალიასთან ბრძოლაში. უნდა შევნიშნოთ, რომ 60 მეტრზე ლიამ საუკეთესო შედეგს — 314 ქულას მიაღწია. კარგი იქნებოდა ჩვენს მშვილდოსნებს ყველა დისტანციაზე ასეთი მაღალი მაჩვენებლები ჰქონოდათ, მაშინ საკავშირო სარბიელზე წარმატების იმედი გვექნებოდა. სამწუხაროდ, ისინი ეპიზოდურად აღწევენ მაღალ, სტაბილურ მაჩვენებლებს. მეოთხე, დასკვნითმა დღემ ძირითად მეტოქეთა კონკურენციაში არსებითი კორექტივები ვერ შეიტანა. საბოლოოდ 2.317 ქულით გაიმარჯვა და პრიზი მოიპოვა ლ. მაჩაბლიშვილმა, რომელსაც 13 ქულა დააკლდა იმისათვის, რომ სპორტის ოსტატის ნორმატივი შეესრულებინა. ვიმედოვნებთ, რომ იგი უახლოეს შეჯიბრებებში ამ ამოცანასაც გაართმევს თავს. მეორე ადგილზე გამოვიდა ლ. სალია (2.294). რაც შეეხება მესამე ადგილს, პრიზიორი აქაც შეიცვალა. სამი დღის ჯამში ნ. დიასამიძე 14 ქულით უსწრებდა მეოთხე ადგილზე მყოფ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის პირველკურსელს, სპორტის ოსტატობის კანდიდატ მ. სოპოლოვას, მაგრამ მაიამ კარგად ისროლა 50 და 30 მეტრზე და საბოლოოდ 2.272 ქულით მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი-I — 8.937 ქულა; 2. ბათუმი — 8.390; 3. თბილისი-II — 8.026.

რ. კაცობაშვილი.

სსრ კავშირის თასზე

მასპინძლები: „შახტიორი“ და ცსკა

ფეხბურთში სსრ კავშირის თასის მეოთხედფინალში მოსკოვის ცსკა-მ ანგარიშით 2:1 (0:0) დაამარცხა დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“.

მოეწყო ნახევარფინალური წყვილების წილისყრა. არმიელი ფეხბურთელები თავიანთ დახურულ დარბაზში მიიღებენ ხარკოვის „მეტალისტს“, ხოლო დონეცკში ითამაშებენ ადგილობრივი „შახტიორი“ და ლენინგრადის „ზენიტი“.

ორივე ნახევარფინალური მატჩი გაიმართება 19 მარტს.

საქართველოს პირველობა

12 მარტს დაიწყო საქართველოს 1983 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში. აღმოსავლეთის ზონის გუნდებს შორის გაიმართა პირველი შეხვედრები, დასავლეთის ზონაში უამინდობის გამო პირველი ტურის მატჩები გადაიდო, გათამაშება დაიწყება 19 მარტს.

რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონის სტადიონებზე, სადაც ჩატარდა პირველი შეხვედრები, მოხდა საზეიმო გახსნა, მონაწილე გუნდების კაპიტნებმა აღმართეს დროშები, ჩემპიონატის გახსნისადმი მიძღვნილ აღლუმში მონაწილეობდნენ ნორჩი ფეხბურთელებიც, გათამაშების პირველი თამაშები აღინიშნა დაძაბული ბრძოლით.

„სპარტაკი“ (თბილისი) — „კახეთი“ (თელავი) 1:0. მსაჯი რ. ძოძუაშვილი (თბილისი).

ერთადერთი ბურთი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა სპარტაკელებს, გაიტანა დოლიძემ.

„ხამგორი“ (გარდაბანი) — „ივერია“ (ხაშური) 0:0. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).

„ავტომობილისტი“ (თბილისი) — „მერეთი“ (ლაგოდეხი) 0:0. მსაჯი ჯ. ჩუხუა (თბილისი).

გააფრთხილეს ლაგოდეხელი ი. შუბითიძე.

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 1:0. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).

ბურთი გაიტანა ჯაკობიამ.

„დურუჯი“ (ყვარელი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 2:1. მსაჯი ე. ხილაგავა (თბილისი).

მასპინძლებმა კარგად ითამაშეს და ძლიერ მეტოქესთან ბრძოლაში დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწიეს. ბურთები გაიტანეს ლაკოევამ და რ. თინიკაშვილმა, ხოლო საპასუხო — სამარგულიანმა.

პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „მადნეული“ (ბოლნისი) 1:0. მსაჯი რ. ფანჯარაშვილი (თბილისი).

ბურთი გაიტანა ფარულავამ.

„არმაზი“ (მცხეთა) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 2:1. მსაჯი ა. ბაჩუკაშვილი (თბილისი).

მცხეთელ ფეხბურთელთაგან თავი გამოიჩინეს ხუცურაულმა და სოლოღაშვილმა, ცხინვალელთაგან ბურთი გაიტანა მარგიევმა.

გააფრთხილეს ცხინვალელი ი. ტეზიევი და ქ. შავლოხოვი.

„ავიატორი“ (თბილისი) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 4:0, მსაჯი დ. მენთეშაშვილი (გურჯაანი).

გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ბაზა მომზადებული შეხვდა ჩემპიონატის სტარტს, თვით „ავიატორმა“ კი დამსახურებულად გაიმარჯვა (3 ბურთი გაიტანა ვასაძემ, ერთი — გაბელაიამ).

„ალაზანი“ (გურჯაანი) — „თორი“ (ბორჯომი) 0:1. მსაჯი მ. ჰეღიძე (თბილისი).

ბურთი გაიტანა დათუნაშვილმა. გურჯაანელმა აბულაძემ ვერ გამოიყენა პენალტი.

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.

●

რედაქციისაგან: საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატი დაიწყო და, როგორც ხედავთ, უკვე მოხდა დარღვევები. უდისციპლინო საქციელისთვის გააფრთხილეს ლაგოდეხელი ი. შუბითიძე, აგრეთვე, ცხინვალელები ი. ტეზიევი და ქ. შავლოხოვი. 3 გაფრთხილება 9 მატჩში, ჩვენი აზრით, ძალიან ბევრია და უკვე ახლავე, პირველი დღიდან უნდა ვიზრუნოთ, რომ უდისციპლინობა, უხეშობა, წესრიგის დარღვევა აღმოვფხვრათ ამთავითვე. რაც შეეხება ლაგოდეხის „მერეთისა“ და ცხინვალის „სპარტაკის“ ხელმძღვანელებს, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ გუნდების მესვეურები სერიოზულად იმსჯელებენ მათს კოლექტივებში მომხდარ უწესრიგობაზე და გვაცნობებენ თუ რა ზომებს მიმართეს ი. შუბითიძის, ი. ტეზიევისა და ქ. შავლოხოვის მიმართ, როგორ აპირებენ ფეხბურთელთა დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლას.

ე. ბეარზოტი მაინც ოპტიმისტია

ვარშავის ჟურნალ „პილკა ნოჟნას“ კორესპონდენტი ამას წინათ ესაუბრა იტალიის ნაკრების მწვრთნელს ე. ბეარზოტს. აი, ზოგიერთი საინტერესო ნაწყვეტი ამ ვრცელი ინტერვიუდან.

— თქვენ პირველი მწვრთნელი ხართ მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში, რომელმაც ფინალური მატჩის წინ განაცხადა, ეჭვი არ მეპარება ჩემი გუნდის წარმატებაშიო. რას ემყარებოდა ასეთი ოპტიმიზმი?

— ჩვენი მეტოქის შესაძლებლობათა ღრმა ცოდნას. ჩვენ ისიც გავითვალისწინეთ, რომ გფრ-ის ნაკრებმა ფრანგებთან 120-წუთიანი მატჩი ითამაშა და დიდი ძალა დახარჯა. როცა საკუთარი და მეტოქის ღირსება-ნაკლოვანებათა დაწვრილებითი ანალიზი გავაკეთეთ, სიტუაცია ჩვენს სასარგებლოდ დაგვესახა. იყო სხვა ფაქტორიც: ბოლო 10 წლის მანძილზე გფრ-ის ნაკრებს ბევრი წარმატება ჰქონდა, ჩვენ კი გაცილებით ნაკლები, გამარჯვება ჩვენ უფრო მეტ სიხარულს მოგვიტანდა, ვიდრე მათ.

— როგორ გახდით მწვრთნელი?

— როგორც გატეხილ ცხვირზე შეამჩნევდით, ჯერ მოკრივე ვიყავი, ეს ასე იყო, მაგრამ ძალზე მიმიწევდა გული მწვანე მინდვრისკენ, ამიტომ მეც კრივი შევცვალე კიდევ უფრო ძნელი სახეობით — ფეხბურთით.

— როგორ იმოქმედა განვლილმა მსოფლიო ჩემპიონატმა იტალიის მიმდინარე პირველობაზე?

— იტალიის ჩემპიონატის დასაწყისი მოულოდნელობით აღინიშნა. ფავორიტები აგებდნენ, ხოლო ლიდერობდნენ ჯერ გენუის „სამპდორია“, შემდეგ — „პიზა“. მათ მომდევნო პერიოდში გაუსწრეს „რომამ“ და სხვებმა. ვფიქრობ, კლასი საბოლოოდ მაინც იტყვის თავისას: ძლიერად ითამაშებენ „იუვენტუსი“, „ინტერი“, „ფიორენტინა“.

— ესპანეთი-82 უკვე ისტორიაა. რას იტყვით ევროპის პირველობაზე?

— შესარჩევ თამაშებში ჯერ არა გვაქვს წარმატება, მაგრამ მდგომარეობას გამოვასწორებთ.

ევროპის საკლუბო ტურნირები

უცხოეთის ფეხბურთის მიმომხილველები ბევრს წერენ ევროპული ტურნირების მეოთხედფინალურ მატჩებზე, მსჯელობენ გუნდების შესაძლებლობებზე საპასუხო შეხვედრათა წინ.

ჩემპიონთა თასი. „ჰამბურგერ შპორტფერაინი“ — კიევის „დინამო“ (3:0). ასეთი ანგარიშის მიუხედავად თვით ჰამბურგელი ფეხბურთელებიც კი არ ფიქრობენ, რომ ყველაფერი დამთავრებულია. საინტერესო განცხადება გააკეთა ბასტრუპმა: „ჩვენ უნდა დავივიწყოთ პირველი შეხვედრის შედეგი“ ცნობილი გახდა ისიც, თუ როგორ შეუპოვრად ემზადებოდა „ჰამბურგი“ პირველი შეხვედრისთვის: მწვრთნელი ე. ჰაპელი დაუკავშირდა ცნობილ დასავლეთგერმანელ სპეციალისტს ჰ. ვაისვაილერს, რომელიც კიეველთა ყოფილ მეტოქეს „გრასჰოპერსს“ (ციურიხი) უდგას სათავეში და დაწვრილებითი კონსულტაცია მიიღო მისგან.

„ლივერპული“ — „ვიძევი“ (0:2). ბერლინის გაზეთი „იუნგე ველტი“ ხაზს უსვამს იმ უმძიმეს ვითარებას, რომელშიც ჯერ კიდევ თამაშამდე აღმოჩნდა პოლონელთა გუნდი. ფეხბურთელთა დიდი ჯგუფი დაავადდა გრიპით, ამის მიუხედავად, ახალგაზრდებმა ბრწყინვალედ ითამაშეს, მათი კონტრიერიშები უფრო სახიფათო აღმოჩნდა, ვიდრე ინგლისელთა გამუდმებული, მძაფრი შეტევა. როგორც ვარშავის „პშეგლონდ სპორტოვი“ აღნიშნავს, ეს მატჩი შევა პოლონური ფეხბურთის ისტორიაში. მიმომხილველი გ. ალექსანდროვიჩი გამარჯვებულთაგან გამოჰყოფს სმოლიარეკსა და 20 წლის დებიუტანტს ვრაგას, შუა ხაზის მოთამაშეებს როზბორსკისა და რომკეს. ლივერპულელთაგან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს დალგლიშმა და უელენმა, მაგრამ დაცვაში სერიოზული შეცდომებით მოქმედებდნენ ჰანსენი და ლაურენსონი.

რა თქმა უნდა, 2 ბურთი დიდი უპირატესობაა, მაგრამ „ლივერპული“ სულაც არ აპირებს ფარ-ხმალის დაყრას.

„იუვენტუსი“ — „ასტონ ვილა“ (2:1). იტალიელთა ბანაკში ზეიმობენ: „იუვენტუსმა“ დაახლოებით ერთი თვეა ისე დაიწყო თამაში, როგორსაც მისგან დიდხანს ელოდნენ, ფორმაში შევიდა როსიც. კარგად ითამაშეს პირველ მატჩში ბეტეგამ და პლატინიმ. „იუვენტუსი“ ისე მოქმედებდა, როგორც იტალიის ნაკრები ესპანეთში“ — წერს იტალიური „კორიერე დელო სპორტი“. ტურინის მატჩის წინ მიმომხილველებს „ასტონ ვილა“ ფაქტიურად განწირულად მიაჩნიათ.

„რეალ-სოსიედადი“ (სან-სებასტიანი) — „სპორტინგი“ (ლისაბონი) 0:1. ამ ერთადერთ ბურთს, რომელიც „სპორტინგმა“ გაიტანა, საპასუხო შეხვედრაში მაინცდამაინც დიდი ფასი არ ექნება. ბასკების მტკიცე თამაშმა ლისაბონში დიდი შთაბეჭდილება დატოვა. პორტუგალიელთა უძლიერესი ფეხბურთელები ოლივეირა, ფერნანდესი და ჟორდაო მკაცრი კონტროლის ქვეშ აღმოჩნდნენ.

თასების მფლობელთა თასი. „ბარსელონა“ — „აუსტრია“ (0:0). როგორც ცნობილი მიმომხილველი ქ. ჩასტკა იუწყება, ესპანელებს მხოლოდ ფრე ეწადათ, რათა შემდეგ მთელი იმედი საპასუხო შეხვედრაზე დაემყარებინათ. განმეორებით შეხვედრაში მიმომხილველები უდავო უპირატესობას ანიჭებენ „ბარსელონას“.

„რეალი“ (მადრიდი) — „ინტერი“ (1:1). ამ შეხვედრაშიც უპირატესობა ესპანელთა მხარეზეა. მილანში, „მეაცას“ სტადიონზე, 80 ათასი მაყურებელი ამაოდ ელოდა „ინტერის“ გამარჯვებას. ესპანელები მშვიდად იცავდნენ თავს და საპასუხო მატჩში წარმატების დიდი შანსი აქვთ.

„აბერდინი“ — „ბაიერნი“ (0:0). შოტლანდიელებმა გამოცდილ მეტოქეს სრულიად ახალგაზრდა გუნდი დაუპირისპირეს — მხოლოდ 3 მოთამაშე იყო 25 წელზე ხნიერი. „ბაიერნს“ მეტად გაუჭირდა: „აბერდინმა“ რუმენიგეც გამორთო თამაშიდან და დ. ჰიონესიც. „ისეთ გუნდს, როგორიც „აბერდინია“, ასე იოლად ვერ დაამარცხებ“ — თქვა ბეკენბაუერმა, რომელიც ამ მატჩს ესწრებოდა.

„ვატერშეი“ — „პარი სენ-ჟერმენი“ (0:2). პარიზელებს კარგი შესაძლებლობა აქვთ გავიდნენ ნახევარფინალში. პარიზის „პარკ დე პრენსზე“ ბელგიელები თავიდან ბოლომდე თავგამოდებით იცავდნენ თავს, მაგრამ ძალები აშკარად არათანაბარი იყო, „სენ-ჟერმენში“ გამოდიოდნენ კისტი (ჰოლანდია), სუშიჩი (იუგოსლავია), დალები (ალჟირი).

უეფა-ს თასი. „ბენფიკა“ — „რომა“ (2:1). რომში „ბენფიკამ“ (რომელშიც პორტუგალიის ნაკრების 9 მოთამაშე შედის) ბრწყინვალედ ითამაშა და უკეთესი ანგარიშითაც უნდა მოეგო — წერს „კორიერე დელა სერა“. პორტუგალიელებმა, რომლებიც ტექნიკურად და სწრაფად მოქმედებდნენ, გამორთეს ფალკაო, პროჰაზკა, კონტი, პრუცო. მათ ახლა არა ჰყავთ ეუსებიოსა და კოლუნას კლასის ვარსკვლავები, მაგრამ მთელი ანსამბლი დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს.

„უნივერსიტატეა“ (კრაიოვა) — „კაიზერსლაუტერნი“ (2:3). მდგომარეობა ბუნდოვანია: მატჩში სტუმრად რუმინელებს ნაკრების 3 მოთამაშე აკლდათ და კარგა ხანს ისე ჩანდა, რომ მათ უმძიმესი წაგება ემუქრებოდათ (52-ე წუთის შემდეგ ანგარიში იყო 3:0), ახლა კი კრაიოველები იმედით არიან გამსჭვალულნი.

საპასუხო მატჩების მოლოდინში

„ანდერლეხტი“ — „ვალენსია“ (2:1). მწვრთნელმა, მ. მილიანიჩმა ერთგვარ ძვრებს მიაღწია „ვალენსიაში“, მაგრამ მისთვის მაინც მეტად ძნელი იყო „ანდერლეხტთან“ ბრძოლა. „ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს ნახევარფინალის საგზური“ — ფრთხილობს ბელგიელთა მწვრთნელი, წარსულში განთქმული ფეხბურთელი პ. ვან ჰიმსტი.

„დანდი იუნაიტედი“ — „ბოჰემიანსი“ (0:1). შოტლანდიელთა ეს გუნდიც, „აბერდინისა“ არ იყოს, თითქმის მთლიანად ახალგაზრდულია. მენაჯერს — ჯ. მაკლინის მიაჩნია, რომ მისი გუნდი ნახევარფინალში კი არა, ფინალშიც გავა. ჩეხოსლოვაკიელი ჟურნალისტი ს. პლავაჩეკი თავის მხრივ წერს, რომ „ბოჰემიანსს“ პრაღაში ნაკრების 3 მოთამაშე აკლდა, რომლებიც 16 მარტს მწყობრში ჩადგებიან.

გ. გამრეკელი.

• • •

სურათზე: პირველი მეოთხედფინალური მატჩი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე კიევის „დინამოსა“ და „ჰამბურგს“ (გფრ) შორის. ბურთისთვის იბრძვიან კიეველი ბესონოვი (მარცხნივ) და დასავლეთგერმანელი ჰრუბეში.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

„ჰამბურგი“ ლიდერია

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგ ტურში კვლავ წარმატებით ითამაშა „ჰამბურგერ შპორტფერაინმა“, რომელიც კიევის „დინამოს“ მეტოქეა ევროპის ჩემპიონთა თასის საპასუხო მეოთხედფინალურ მატჩში. „ჰამბურგმა“ ანგარიშით 3:0 დაამარცხა მაინის ფრანკფურტის „აინტრახტი“. 2 ბურთი გაიტანა მილევსკიმ, 1— ჰრუბეშმა.

გფრ-ის ჩემპიონატის 24 ტურის შემდეგ „ჰამბურგი“ ლიდერობს 36 ქულით.

სად არიან „ბომბარდირები?“

იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის ერთ-ერთ ტურში აღინიშნა 7 ფრე, 4 შეხვედრაში კი საერთოდ არ გაუტანიათ არც ერთი ბურთი. ამ ფაქტს ვრცელი კომენტარი გაუკეთეს მილანის „გაძეტა დელო სპორტის“ მიმომხილველებმა და შეადარეს სხვა ქვეყნების ჩემპიონატების შედეგიანობას.

გამოირკვა, რომ ყველაზე მეტი ბურთი გააქვთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონატში. იქ გათამაშების ყოველ მატჩში საშუალოდ 4,8 გოლი გადის, სხვა ქვეყნებში ასეთი მდგომარეობაა: ინგლისი — 3,27, ჩრდილოეთ ირლანდია — 3, ჰოლანდია — 2,71, საფრანგეთი — 2,55, ბელგია — 2,44, საბერძნეთი — 2,44, შოტლანდია — 2, პორტუგალია — 2, ესპანეთი — 1,88, იტალია — 1,12.

„ლივერპული“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“

26 მარტს ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე გაიმართება ინგლისის ლიგის თასის ფინალური მატჩი, ერთმანეთს შეხვდებიან „ლივერპული“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“.

სამხრეთ ამერიკაში

გამოქვეყნდა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასის 1983 წლის კალენდარი, სადაც გუნდები დაყოფილი არიან წინასწარ ჯგუფებად, პირველ ჯგუფში გაერთიანდნენ არგენტინისა და ჩილის გუნდები, ხოლო მეორეში — ბრაზილიის „ფლამენგო“ და „გრემიო“, აგრეთვე, ბოლივიის „ბლიუმინგი“ და „ბოლივარი“. ამ საპატიო პრიზის ახლანდელი მფლობელი — ურუგვაის „პენიაროლი“ ბრძოლაში ჩაერთვება ნახევარფინალიდან.

● ჭადრაკი

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩები

პირველი პარტია

12 მარტს ლვოვის ახალ ჭადრაკის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა პირველი მეოთხედფინალური მატჩი ნ. გაფრინდაშვილსა და ი. ლევიტინას შორის. წილისყრით გაირკვა, რომ პირველ და მომდევნო კენტ პარტიებში თეთრებით ქართველი დიდოსტატი ითამაშებს.

13 მარტს გაიმართა მატჩის პირველი პარტია. ნონამ შეხვედრა ლაზიერის პაიკით დაიწყო. ლევიტინამ ლაზიერის მიღებული გამბიტი აირჩია. თანდათან თეთრებმა უფრო პერსპექტიული პოზიცია მიიღეს. მაგრამ 25-ე სვლაზე ნონამ იჩქარა ეტლების გაცვლით და შავების თეთრუჯრედოვანმა კუს მდგომარეობა გაიუმჯობესა. 26-ე სვლაზე კი ქართველმა დიდოსტატმა უხეში შეცდომა დაუშვა და პაიკი დაკარგა. ლევიტინამ აშკარა უპირატესობა მიიღო და ენდშპილში გადავიდა. რამდენიმე პაიკის გაცვლის შემდეგ ცხადი შეიქმნა, რომ ლენინგრადელი დიდოსტატის მეფის ფრთის პაიკები მზად იყო ლაზიერად გასვლისთვის. ამასობაში თამაშისათვის განკუთვნილი დრო ამოიწურა და პარტია გადაიდო.

გთავაზობთ პირველ პარტიას.

გაფრინდაშვილი — ლევიტინა

ლაზიერის გამბიტი

1. d4 d5 2. c4 d×c4 3. მf3 c5 4. e3 c×d4 5. კ×c4 ლc7 6. ლb3 e6 7. მ×d4 a6 8. მc3 მf6 9. კd2 კd7 10. ეc1 მc6 11. კe2 მ×d4 12. e×d4 კc6 13. კf3 კe7 14. მa4 მd5 15. კ×d5 e×d5 16. მb6 ეd8 17. 0—0 ლd6 18. ეfe1 0—0 19. a3 ლf6 20. კb4 კ×b4 21. ლ×b4 ეfe8 22. ლc5 h6 23. b4 ლg5 24. ლc3 ეe4 25. ე×e4 d×e4 26. ლe3 ე×d4 27. h4 ლ×e3 28. f×e3 ეd3 29. მc4 კb5 30. მფf2 f6 31. h5 ეd5 32. g4 f5 33. მფg3 f×g4 34. მფ×g4 ეg5+ 35. მფf4 ე×h5 36. მd6 კc6 37. a4 ეd5 38. მ×e4 მფf7 39. მc5 g5+ 40. მფg3 მფg6 41. მ×a6. პარტია გადაიდო.

ეს პარტია გუშინ დამთავრდა. გაკეთდა სულ 10 სვლა: 41. კ×a4 42. მc5 კc6 43. b5 კ×b5 44. მ×b7 h5 45. ეc8 h4 46. მფf3 კd7 47. ეg8 მფf7 48. ეd8 g4 49. მფf4 g3 50. მფf3 ეd2 და თეთრები დანებდნენ.

ამრიგად, დაწინაურდა ლევიტინა — 1:0.

დღეს, 15 მარტს დანიშნულია მეორე პარტია. თეთრებით ლევიტინა ითამაშებს.

კიდევ ყაიმი

გ. კასპაროვ — ა. ბელიავსკის მატჩის მეშვიდე პარტია ყაიმით დასრულდა. ეს შეხვედრა 13 მარტს მოსკოვში გაიმართა.

მეტოქეებმა განაგრძეს „თეორიული დისკუსია“ ლაზიერის გამბიტის იმ სისტემაში, რომელსაც შავებით თამაშის დროს ირჩევს. ლვოველმა დიდოსტატმა ამჯერად სხვა გაგრძელებას მიმართა, მაგრამ კასპაროვმა ალღო აუღო მას.

რთულ პოზიციაში, მე-15 და მე-16 სვლებს ბელიავსკიმ 78 წუთი მოანდომა, ბევრს ფიქრობდა კასპაროვიც — 23 წუთი მე-20 და 35 წუთი 21-ე სვლაზე. უპირატესობა ვერც ერთმა მხარემ ვერ მიიღო და კასპაროვის წინადადებით მეტოქენი დაზავდნენ.

აი, ეს პარტია:

კასპაროვი — ბელიავსკი

ლაზიერის გამბიტი

1. d4 d5 2. c4 e6. 3. მc3 მf6 4. c×d5 e×d5 5. კg5 კe7 6. e3 h6 7. კh4 0—0 8. კd3 b6 9. მf3 კb7 10. 0—0 მe4 11. კ×e7 ლ×e7 12. მe5 კd7 13. f4 მ×e5 14. f×e5 c5 15. ლe1 ეad8 16. ეd1 ლg5 17. ეf3 f6 18. e×f6 c×d4 19. e×d4 ეde8 20. კb5 ეd8 21. კd3 ეde8. ყაიმი.

მატჩის ანგარიშია 4:3 კასპაროვის სასარგებლოდ.

მერვე პარტია დღეს, 15 მარტს შედგება.

ორი მატჩის მასპინძელი

ფიდე-ს გენერალურმა მდივანმა ლიმ კოკ ანმა (სინგაპური) ამსტერდამში ფიდე-ს შტაბ-ბინას აცნობა, რომ პრეტენდენტთა ზოლტან რიბლისა (უნგრეთი) და ეუგენიო ტორეს (ფილიპინები) მეოთხედფინალური მატჩი ქ. ალიკანტეში (ესპანეთი) 3 აპრილს დაიწყება.

ასე რომ, ხმელთაშუა ზღვის საკურორტო ქალაქი ალიკანტე აპრილში ერთდროულად უმასპინძლებს რიბლი—ტორესა და ალექსანდრია—ლემაჩკოს მატჩებს, ისევე როგორც 18 მარტიდან ავსტრიის ქალაქი ფელდენი სმისლოვ—ჰიუბნერისა (გფრ) და იოსელიან — ლიუ შილანის (ჩინეთი) ორთაბრძოლებს.

საპრიზო ადგილებზე

● ჩოგბურთი

ვორონეჟში ჩატარდა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოზარდ-ჩოგბურთელთა 1967-68 წლებში დაბადებულთა საკავშირო შეჯიბრება. წარმატებით იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, დინამოელებმა გ. ლეჟავამ (მწვრთნელები გ. ჩახუნაშვილი, გ. ლარიბაშვილი), დ. კაჭარავამ (მწვრთნელი გ. თოხაძე) და ი. ანტონიანმა (მწვრთნელები რ. აბჟანდაძე და გ. ჩახუნაშვილი). განსაკუთრებით ისახელა თავი და I ადგილი დაიკავა საქართველოს სამგზის აბსოლუტურმა გამარჯვებულმა გ. ლეჟავამ, 1969-70 წლებში დაბადებულ ბიჭებს შორის საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი დ. კაჭარავა მესამე იყო. გოგონათა შორის II ადგილზე გავიდა ი. ანტონიანი.

პანორამა

● ხელბურთი

მინსკში უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მეოთხე ტურის შეხვედრები ასე დამთავრდა: ლიდერებმა, ცსკა-ს ხელბურთელებმა ფრედ დაამთავრეს შეხვედრა ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდთან — 25:25. მინსკელმა არმიელებმა დაამარცხეს მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის კოლექტივი — 25:22, ხოლო კაუნასის „გრანიტასმა“ — „კუნცევო“ 36:31.

26 თამაშის შემდეგ მოსკოველი არმიელები 43 ქულით კვლავ ლიდერობენ, მინსკის ასკ-ს 39 ქულა აქვს, ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდს — 35, საავიაციო ინსტიტუტის კოლექტივს — 33, „გრანიტასს“ — 28, „კუნცევოს“ — 26.

• • •

გდრ-ის ქალაქ ნოიბრანდენბურგში გრძელდება ხელბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი. მესამე დღეს მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, სსრ კავშირის ნაკრებმა ანგარიშით 28:13 (11:8) დაამარცხა ამ ქვეყნის იუნიორთა გუნდი. გდრ-ის ნაკრებმა დაამარცხა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი უნგრეთის ნაკრები 22:15 (10:10). დანიისა და პოლონეთის კოლექტივების შეხვედრა ფრედ 24:24 (13:11) დამთავრდა. ექვსექვსი ქულით ლიდერობენ სსრ კავშირის და გდრ-ის ხელბურთელები.

● კალათბურთი

გუშინწინ, მოსკოვში გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების — ადგილობრივ „დინამოსა“ და კიევის „სტროიტელის“ საკავშირო ჩემპიონატის მატჩი ბრინჯაოს მედლების მოსაპოვებლად. გაიმარჯვეს კიეველებმა 84:80 (40:44) და ბრინჯაოს მედლების მფლობელებიც გახდნენ. გამარჯვებულთაგან განსაკუთრებით ისახელა თავი ბელოსტენიმ, რომელმაც გუნდს 35 ქულა შესძინა. დინამოელი კისელიოვის ანგარიშზეა 22 ქულა.

● წყალში ხტომა

20 წლის მინსკელი სტუდენტი ი. სიდოროვა ამ ტრადიციულ საერთაშორისო ასპარეზობაზე, რომელიც ამჯერად მის ქალაქში გაიმართა, მეორე წელია არავის უთმობს პირველობას. მან 3 მეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში გამოცდილი მეტოქეები დაჯაბნა და გაიმარჯვა 623,51 ქულით, მეორე ადგილზეა კიეველი ჟ. ცირულნიკოვა — 475,44, მესამეზე — გდრ-ის წარმომადგენელი კ. ბენსინგი — 474,21.

● ტანვარჯიში

ლვოველმა ტანმოვარჯიშემ ს. მარაცინკოვმა და ვლადიმირელმა ვ. არტემოვმა აშშ-ს თასის გათამაშებაში „ვერცხლი“ გაიყვეს. ჩვენმა სპორტსმენებმა 58,20-58,20 ქულა მოაგროვეს. გამარჯვება წილად ხვდა მასპინძელ პიტერ ვიდმარს, რომელსაც 58,55 ქულა აქვს.

ქალთა მთელი კვარცხლბეკი „ამერიკული“ აღმოჩნდა. იგი მ. რეტონმა (39,25), ჯ. მაკნამარამ (38,90) და ტ. ტალავერამ (38,40) დაისაკუთრეს. როსტოველი ნ. იურჩენკო 38,20 ქულით მეექვსე იყო, ხოლო მისი თანაგუნდელი ა. შიშოვა — მეშვიდე 38,15.

ჰოკეი

გრეცკი

ბრწყინვალედ თამაშობს

22 წლის გრეცკი ახლა კანადა-აშშ-ს ჰოკეის ლიგის უძლიერესი მოთამაშეა და თვალსაჩინო მიღწევებიც აქვს.

ამ დღეებში ერთმანეთს შეხვდა ლიგის ორი ნაკრები. გუნდმა, რომელშიც გრეცკი თამაშობდა, გაიმარჯვა ანგარიშით 9:3, თანაც ოთხი შაიბა გრეცკიმ გაიტანა. საინტერესოა, რომ ამ ნაკრებთა ყოველწლიურ, ტრადიციულ შეხვედრებში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, ერთ ჰოკეისტს 4 შაიბა გაეტანოს!

ჰელი ისევ ჩემპიონია

კლივლენდში გაიმართა მსოფლიოს პირველობაზე ქვემსუბუქ წონის პროფესიონალ მოკრივეთა მატჩი, ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოს ჩემპიონი ლერი ჰელი და პრეტენდენტი სოლ მამბი (ორივე — აშშ).

თორმეტი რაუნდის შემდეგ ჰელიმ ქულებით გაიმარჯვა და თავისი წოდება შეინარჩუნა.

იუგოსლავიის კალათბურთელთა ახალი ნაკრები

იუგოსლავიის კალათბურთელთა ნაკრების ახალმა მწვრთნელმა დაასახელა ის 16 მოთამაშე, რომლებიც მოემზადებიან ევროპის მომავალი ჩემპიონატისათვის.

ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში არიან კიჩანოვიჩი, სლავნიჩი, დელიბაშიჩი, ვილფანი, სკროცე, დალიპაგიჩი, პოლიაკი, სუნარა, დრაჟენ პეტროვიჩი, ბობან პეტროვიჩი, ერკოვი, რადოვანოვიჩი, ჟიჟიჩი, კნეგო, ავდია და ნაკიჩი.

იუგოსლავიის უძლიერესი კალათბურთელები ვარჯიშს 15 აპრილს შეუდგებიან. 20 მაისამდე ქვეყნის ნაკრები 5 საწვრთნელ მატჩს გამართავს ამერიკის უნივერსიტეტის გუნდ „ნოტრ-დამთან“.

ნაკრების მწვრთნელის ი. ჯერჯას არჩევანი მოულოდნელი იყო კალათბურთის სპეციალისტებისთვისაც კი. კოლუმბიის შარშანდელი მსოფლიო პირველობის დამთავრების შემდეგ იუგოსლავიის ნაკრების სამმა უძლიერესმა მოთამაშემ — დალიპაგიჩმა, დელიბაშიჩმა და ერკოვიჩმა გუნდი დატოვეს. თუმცა ჯერჯასთან მოლაპარაკების შემდეგ ისინი დათანხმდნენ დაიცვან ქვეყნის ნაკრების ღირსება. ყველაზე დიდი მოულოდნელობა იყო ნაკრებში 35 წლის ზორან სლავნიჩის დაბრუნება. კალათბურთის ეს ვეტერანი გუნდიდან წავიდა 1980 წელს მოსკოვის ოლიმპიადაზე იუგოსლაველ კალათბურთელთა გამარჯვების შემდეგ, მაგრამ ახლა იგი კვლავ მიიწვიეს ნაკრებში სათამაშოდ.

ჯერჯამ განაცხადა, რომ ეს მან გააკეთა ნაკრების კაპიტნის კიჩანოვიჩის თხოვნით, რომელსაც სურს გვერდით ჰყავდეს ნაცადი თანაშემწე და გამოცდილი „დირიჟორი“.

იუგოსლავიის კალათბურთის კავშირის პრეზიდიუმმა დაამტკიცა აგრეთვე სპეციალისტების საბჭოს ახალი შემადგენლობა, რომელშიც შევიდნენ ბ. კრისტანჩიჩი (თავმჯდომარე), რ. ჟერავიცა, მ. ნოვოსელი, კ. ჩოსიჩი და ი. დრვარიჩი. (საკდესი).

უცხოური კალეიდოსკოპი

ამერიკელმა ბილი ოლსონმა ლოს-ანჯელესში მსოფლიო რეკორდი დარბაზებისთვის დაამყარა ჭოკით ხტომაში — 580 სმ;

შვედეთის ჩეხოსლოვაკიელმა ჩოგბურთელმა ივან ლენდლმა I ადგილი დაიკავა ნიუ-იორკში მიმდინარე „ვარსკვლავთა ტურნირში“;

ჰიუსტონის (აშშ) საერთაშორისო მარათონულ გარბენში გაიმარჯვა ეთიოპიელმა ხაილუ ებბამ.

საკდესის ფოტოები.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. სა-

ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე 06268